პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
სამშაბათი
29 აპრილი
№ 99 (17742)
ფასი 2 კაპ.

მრეწველობის მუშაკებო! განამტკიცეთ ჩვენი სამშობლოს ინდუსტრიული ძლიერება!

უფრო სწრაფად აითვისეთ და ეფექტიანად გამოიყენეთ საწარმოო სიმძლავრენი!

დანერგეთ ახალი ტექნიკა, პროგრესული ტექნოლოგია, მოწინავე გამოცდილება!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲨᲘ

28 აპრილს მოსკოვს გზად მიმავალი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი როსტოვში შეჩერდა. აქ იგი შეხვდა და ესაუბრა სკკპ საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებს.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო.

სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ს. ბონდარენკომ ილაპარაკა დონის მშრომელთა მუშაობის შესახებ პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, დამამთავრებელი წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმების შესასრულებლად.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გამოიკითხა, თუ როგორ მიმდინარეობს საგაზთხულო მინდვრის სამუშაოები, როგორ მუშაობს საოლქო პარტორგანიზაცია მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ადგილობრივ ორგანიზაციებში ეკონომიკური ძლიერების შემდგომი ზრდის შესახებ პარტიის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში. მან დონის ყველა მშრომელს გულთბილად მოულოცა პირველი მაისი, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავი, ჯანმრთელობა, ბედნიერება და კეთილდღეობა უსურვა ყველა ოჯახს. (საკდესი).

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ

28 აპრილს კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის ფოლადის მრეწველობის მინისტრს პ. უონგბოს, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

ნიგერიის პრეზიდენტის ალჰაჯა შეჰუ შაგარის სახელით მინისტრმა წერილი გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ნიგერიის ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემებს. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით იზრდება მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების სასარგებლოდ სხვადასხვა ქვეყნის აქტიური მეცადინეობის მნიშვნელობა.

აღინიშნა, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-ნიგერიის თანამშრომლობა, რომელიც უფრო ფართო გაქანებას იძენს იმის შედეგად, რომ სრულდება შარშან ივლისში დადებული კონტრაქტი აჯაჯუტის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შესახებ.

საუბარს დაესწრნენ ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, ნიგერიის ელჩი სსრ კავშირში ჯ. ოლაიტანი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

27 აპრილს მოსკოვიდან პარიზს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით. დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების პირველი მოადგილეები ვ. ვ. ზაგლადინი და ო. ბ. რახმანინი, მონწილეობას მიიღებს ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების შეხვედრაში მშვიდობისა და განიარაღებისათვის.

აეროდრომზე დელეგაციის გასაცილებლად მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით და პირადად გულითადად მიულოცა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ პრეზიდენტს რუდოლფ კირხშლეგერს გერმანიის ფაშიზმისაგან ავსტრიის განთავისუფლების და ავსტრიის რესპუბლიკის აღდგენის 35-ე წლისთავი.

ამავე დღესასწაულთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა საბჭოთა მთავრობის სახელით და პირადად გულწრფელად მიულოცა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს ბრუნო კრაისკის.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, 1980 წლის მაისის შუა რიცხვებში ქალაქ ვარშავაში გაიმართება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირი.

სახალხო კონტროლიორთა მუშაობის დათვალიერება

3 ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ პარტია დღენიადაგ ზრუნავს სახალხო კონტროლის განვითარებისა და სრულყოფისათვის, მოქალაქეობრივი აღზრდის, სახელმწიფო საქმეთა მართვაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის სკოლად მიაჩნია იგი; სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ ჯანონის მიღებასთან დაკავშირებით სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ დასახულია პარტორგანიზაციათა, აგრეთვე სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების მოქმედების ზუსტი პროგრამა. როგორ განვახორციელოთ იგი უკეთ — ეს არის მთავარი თემა სჯა-ბაასისა, რომელიც ახლა მიმდინარეობს შრომითი კოლექტივების კრებებსა და კონფერენციებზე, სახალხო კონტროლის ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებს რომ ეძღვნება.

ეს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კამპანია მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის, სკკპ XXVI კრებლობისათვის აქტიური მზადების წელს. წარმოების ახალთახალი ფრონტებიდან და ნოვატორმა უკვე შეასრულა პირადი ხუთწლიანი დავალებანი, ბევრმა კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა ლენინის იუბილეს, პირველი მაისის მომავალი დღესასწაულის აღსანიშნავად საკუთარი სოციალისტური ვალდებულებანი. ამისათვის ბევრი რამ გაკეთეს სახალხო კონტროლის ჯგუფებმა, რომლებიც უშუალოდ ხალხის მასებში, პარტიის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე მოქმედებენ. საუკეთესოთა შორის არიან „ყარაღანდქვანახირმშენის“ ტრესტის, ივანოვოს ოლქის მელანჟის კომბინატ „ბოლშევიკის“, დედაქალაქის უნივერმაღ „მოსკოვის“, ლვოვის ოლქის ოლმეურნეობა „პროგრესის“, კუხტანაის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ბელოზერსკის“, სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების სახალხო კონტროლიორები. ამ ჯგუფების მუშაობას ახასიათებს შემოქმედებითი, ინიციატივიანი დამოკიდებულება საქმისადმი, შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი.

ყველგან ასე იქცევიან თუ არა სახალხო კონტროლიორები? სამწუხაროდ, არა. არის შემთხვევები, როცა სახალხო კონტროლიორები შემრიგებლურად ეკიდებიან სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს. უყაირათობისა და მფლანგველობის გამოვლინებებს. მაგალითად, ბერძნის ოლქის ბაღელი რიგი ჯგუფების (უპირატესად ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების), მუშაობა შრომითმა კოლექტივებმა არადამაკმაყოფილებლად შეფასეს. ამგვარი ფაქტები პარტიულ ორგანიზაციებში, სახალხო კონტროლის ორგანოებში სერიოზული, პრინციპული განხილვის საბაბს ქმნიან.

როცა კომიტეტებისა და ჯგუფების ანგარიშებს იხილავენ და მათ ნაცვალგენლობაში ახალ საზოგადოებრივ მუშაკებს ირჩევენ, კრებებმა მონაწილეებს უფლება აქვთ მაღალი მოთხოვნები წაუყენონ სახალხო კონტროლიორებს. კანონით განსაზღვრულია: სახალხო კონტროლიორობა დიდი პატივი და საპატიო მოვალეობაა. ამ პატივის ღირსი ისინი არიან, ვინც გვიჩვენებს შრომისმოყვარეობის, მაღალი ეფექტიანობისა და პრინციპულობის მაგალითს, ვისთვისაც სახელმწიფო ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას. განსაკუთრებით რთული მოცანები ეკისრებათ კომიტეტებისა და ჯგუფების ხელმძღვანელებს. ჩვეულებრივ, ამ საგუშაგოებს კოლექტივები ანდობენ ყველაზე ინიციატივიან, პოლიტიკურად მომწიფებულ აქტივისტებს, როგორებსაც ორგანიზატორული მუშაობის საჭირო ცოდნა და გამოცდილება აქვთ. გაამართლა ისეთმა პრაქტიკამ, როცა კომიტეტებისა და ჯგუფების თავმჯდომარეებს პარტიული ორგანიზაციების მდივნების მოადგილეებად ან პარტკომის, პარტბიუროს წევრებად ირჩევენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე ხანგამ ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, თუ რაოდენ პასუხსაგებია სახალხო კონტროლის ორგანოების წინაშე დასახული ამოცანები, სახალხო კონტროლიორთა მრავალმილიონიან არმიას მოუწოდა უფრო ეფექტიურად ჩაებან საერთო ბრძოლაში სამეურნეო მუშაობის დონის ასაღლებისათვის, საგგმო დავალებათა შესრულებისათვის. ეს პარტიული განაწესი მშრომელთა კრებებისა და კონფერენციების ყურადღების ცენტრშია. საფუძვლიანად, საქმიანად იხილავენ მათი მონაწილენი გამოუყენებელი რეზერვების ძიების, სათბობ-ენერგეტიკული, მატერიალური რესურსების დაზოგვის, შრომის ეფექტიანობის ასაღლების, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების გზებს. ეფთი მიდგომით გამოირჩეოდა, მაგალითად, კონფერენციები, რომლებიც გაიმართა მოსკოვის ოლიჩის სახელობის სალოკომოტივო დეპოში, ლენინგრადის გაერთიანება „იეორის ქარხანაში“, სირდარიის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ბაიაუტსა“ და ბევრ სხვა კოლექტივში.

ამავე დროს ზოგიერთ კრებას ნაჩქარევად ატარებენ, უსაფუძვლოდ გადადებენ ხოლმე. ზოგჯერ საფუძვლიანი საანგარიშო მოხსენებების ნაცვლად, რომლებიც გამოაკლენენ აქტივისტთა როგორც ამოცდილებას, ხარვეზებს, კოლექტივს ზერელე ინფორმაციას აწვდიან ჩატარებული შემოწმებების შესახებ. ყოველივე არ არის ზრუნველყოფილი მშრომელთა, ადმინისტრაციის, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ფართო წარმოდგენლობა.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანია ადგილობრივი პარტიული კომიტეტების ყოველდღიურ, დაინტერესებულ ყურადღებას მოითხოვს. ეგი უნდა მოვაწყოთ მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, სახალხო კონტროლის შესახებ კანონის დებულებათა ზუსტი შესაბამისობით. ფორად მოიქცა, მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, როცა გაითვალისწინა კრებებში რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკების მონაწილეობა. განსაკუთრებული ზრუნვის ეგანა პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი. ახლა ჯგუფებისა და საგუშაგოების შემადგენლობაში 8,6 მილიონი სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია. ეჭიროა შევინარჩუნოთ, ხოლო სადაც საჭიროა, განვამტკიცოთ კიდეც ძირეული რგოლების პარტიული ბირთვი.

კრებებისა და კონფერენციების მონაწილენი სვამენ წარმოების განვითარების აქტუალურ საკითხებს, მოაყენეთ სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტები. აქტივისტთა კრიტიკული შეხსენებანი და წინადადებების მიზანია სამეურნეო მუშაობის სტილისა და ტემპების სრულყოფა, თითოეულ კოლექტივში ურთიერთმომთხოვნელობისა და მომკითხველობის ატმოსფეროს შექმნა, ორგანიზებულობისა და წესრიგის განმტკიცება. პარტიულმა ორგანიზაციებმა თანამონაწილეთა უნდა დაუქვემდებარონ ახალი წინადადებების ანალიზაცია, მიაღწიონ, რომ ყოველი მათგანის გამო მიღებული ბოლოს კონკრეტული, საქმიანი ღონისძიებანი. ეს ხელს შეუწყობს სახალხო კონტროლიორების ავტორიტეტის ამაღლებას, შემოწმებების ეფექტიანობას. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საარჩევნო-საანგარიშო კამპანიას ადგილობრივი პრესის ფურცლებზე, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებში.

მიმდინარეობს ქვეყნის სახალხო კონტროლიორთა მუშაობის საბოლოო დათვალიერება. უეჭველია, იგი მილიონობით სახალხო კონტროლიორს დაეხმარება კიდევ უფრო აქტიურად შეასრულონ თავიანთი საპატიო მისია, კონკრეტული საქმეებით უპასუხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებას:

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განამტკიცეთ დისციპლინა, გაუფრთხილდით ყოველ სამუშაო წუთს!

მოამზირნედ და ეფექტიანად გამოიყენეთ ლიმიტი, ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული რესურსები.

ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲐᲘᲡᲡ!

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (სკკ. კორ). მ. გორგილაძე. ხუთწლედის შრომითს ვახტზე მდგარმა ბათუმის პურის მომღები საწარმოს კოლექტივმა დიდი წარმატება მოიპოვა. მან ხუთწლედის გეგმის ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით შეასრულა. ამის შემდეგ საწარმოს მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს დამატებით გამოუშვან 5.423 ათასი მანეთის პროდუქცია, მათ შორის 50 ათასი ტონა კომბინირებული საკვები.

ახლა კოლექტივი სპირველმაისო შრომითს ვახტზე დგას და მნიშვნელოვნად უსწრებს საწარმოს გრაფიკს. აქ გადაწყვეტეს ახალი ვალდებულება 1 სექტემბრისათვის შეასრულონ. განსაკუთრებით ნაყოფიერად შრომობს პირველი ცვლა, რომელსაც სათავეში რ. სირაბიძე უდგას.

● ●

რეკონსტრუქცია გრძელდება

ᲐᲮᲐᲚᲘ საწარმოო სიმძლავრეების ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემის მიზნით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დიდი მოცულობის სამუშაოები ხორციელდება. სპირველმაისოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას ერთმანეთს „ჭიათურმშენის“, „ფოლადკონსტრუქციის“, „კველექტრომონტაჟისა“ და სხვა სამმართველოების შრომითი კოლექტივები ეცილებიან.

ამ ორგანიზაციებმა წლის ბოლომდე უნდა დაამთავრონ იაპონური ფირმის ორი სადნობი ღუმელის მშენებლობა. მათი საერთო სიმძლავრე წელიწადში 210 ათასი ტონა ლითონი იქნება.

ახალი ღუმელების ექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ მკვეთრად გაიზრდება მოთხოვნილება მანგანუმის კონცენტრატზე. სწორედ ეს გაითვალისწინა ქვეყნის შავი მეტალურგიის სამინისტრომ და პარალელურად ქალაქ ჭიათურაში დაიწყო საფლოტაციო ფაბრიკის რეკონსტრუქცია იმ ანგარიშით, რომ კონცენტრატის წარმოება წელიწადში 540 ათას ტონამდე გაიზარდოს, ესე იგი გაორკეცდეს.

Ო. ᲜᲘᲥᲘᲤᲝᲠᲝᲕᲘ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲙᲙ. ᲙᲝᲠᲠ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადამდე, 28 აპრილს შეასრულეს პრობუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების იანვარ-აპრილის გეგმა.

თბილისის საქალაქო სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, საქართველოს დედაქალაქის მრეწველობამ 28 აპრილს შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების იანვარ-აპრილის გეგმა.

ᲛᲔᲐᲕᲔᲯᲗᲗᲐ ᲞᲐᲢᲐᲙᲘ

ᲓᲘᲓᲘ შრომითი აღმავლობით ხვდება მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს—პირველ მაისს მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი. ჩვენ ვადამდე შეგასრულეთ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ოთხი თვის დავალება. საგრძნობლად გაიზარდა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი წარმოების საერთო მოცულობაში. მან ახლა 38,5 პროცენტს მიაღწია, გეგმა კი 23,3 პროცენტს ითვალისწინებდა.

Თ. ᲒᲝᲠᲨᲙᲝᲕᲘ,
ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ;
Ნ. ᲜᲐᲕᲐᲫᲔ,
ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ.



„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲒᲕᲘᲠᲐᲑᲐᲛᲨᲔᲜᲘᲡ“ ერთ-ერთი საუკეთესო გვირაბგამყვანი კომკავშირელი დავით გელაშვილი მეტროპოლიტენის გლდანის ახალი ტრასის მშენებლობაზე მუშაობს. დგას რა საპირველმაისო შრომითს ვახტზე ახალგაზრდა გვირაბგამყვანი დღითი დღე ზრდის მუშაობის ტემპს.

ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ნელზე მეტია თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში შრომობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხარატი ტრიფონ როსტოაშვილი. იგი მთელ თავის მდიდარ გამოცდილებას, ცოდნას სიამოვნებით გადასცემს ახალგაზრდებს, ზრდის მათ კომუნისტური შეგნებისა და დაკისრებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, სწორედ მისი ხელმძღვანელობით და უნარიანი წინამძღოლობით 34 ჭაბუკმა მიიღო ცხოვრების საგზური. ტ. როსტიაშვილის ნამონაფართა უმრავლესობა განაგრძობს შრომას დიმიტროვის სახელობის ქარხანაში, ბევრი მათგანი დამრიგებლის გვერდით, იმავე საამქროში მუშაობს.

ტ. ᲠᲝᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ნამოწაფართა შორის ბევრია წარმოების მოწინავეი, ხარისხის ფრიადოსანი, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული. დადგა რა საგამომცდელო ვადამდე შესრულების შრომითს ვახტზე, ო. რეხვიაშვილმა, რომელიც თავის დამრიგებელს ეჯიბრება, ოთხ წელიწადში შეასრულა პირადი ხუთწლიანი გეგმა. ქარგი სპეციალისტები დაფიქნენ და თავიანთი მაქსიმალურ მაგალითისამებრ ახლა სხვებს დამრიგებლობენ რ. ბოჭორიანი და ე. კაპანაძე.

თავის მოწაფეებთან ურთიერთობაში ტ. როსტიაშვილის მთავარ ამოცანად მიაჩნია ამხანაგური, მეგობრული ურთიერთობების დამყარება, მათი შობლების პირადი გაცნობა და კონტაქტები.

პირობებს, რომლებშიც ახალგაზრდა მუშა ცხოვრობს, მისი ცოდნისა და თვალსაწიერის დონის შემდგომ ამაღლებას, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალ ვითარებაში ჩაბმაში რაც შეიძლება მალე გარკვევის, მისი ნამდვილ მუშაკად ჩამოყალიბების საქმეში, მუდამ დიდ ყურადღებას უთმობს დამრიგებელი. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ტ. როსტიაშვილი ხშირად დადის თავის მოწაფეების ოჯახებში, საქართნო საერთო საცხოვრებელში, მუშა ახალგაზრდობის სკოლაში, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალებში. სწორედ ამ მზრუნველობის შედეგია, რომ თუნდაც მარტო ამქამად წარმატებით სწავლობენ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რ. წყაროზია და ტ. ეფაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — გ. გაჩეჩილაძე. რ. წყაროზია ამ ცოტა ხნის წინ ტექნიკო

ად დაინიშნა.

ტ. როსტიაშვილი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქარხნის პარტიული კომიტეტის წევრია, თავის მოწაფეებს უნერვავს იდეურ სიმტკიცეს, მაღალ მორალურ თვისებებს, ეფენებს ისეთ ნაკად მეთოდს, როგორიც არის ახალგაზრდობის ჩაბმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც მას შესაძლებლობას აძლევს მთლიანად გამოავლინოს და მოიხმაროს თავისი ნიჭი, ხელს უწყობს ახალგაზრდა წარმოების მუშაკს მტკიცედ მოიკიდოს ფეხი კოლექტივში. სწორედ მისი უშუალო ზემოქმედებით დადგნენ ქარგი საზოგადო მუშაკები ო. რეხვიაშვილი, რომელიც ოჯახურ აირჩიეს პროფკავშირის საქართნო კომიტეტის წევრად, და რ. წყაროზია, რომელიც საამქროს კომკავშირის ბიუროს წევრია.

როცა თავის მოწაფეებს აქტიურ საზოგადო მუშაობაში აბამს, ტ. როსტიაშვილი მათ ჩვეულებრივი დამრიგებლობის გარდა პოლიტიკური წინამძღოლობასაც უწევს და ამრიგად ღირსეულ შვილებას უმზადებს პარტიას.

მარტო უკანასკნელ ხანს მან რეკომენდაცია მისცა ორ მოწაფეს — ერთს წევრად, მეორეს — წევრობის კანდიდატად.

ახალგაზრდა მუშების სწავლებისა და აღზრდის, დამრიგებელთა პრაქტიკული და მეთოდიკური დახმარების, მათი მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელებისათვის დამრიგებელთა მუშაობის კომრიდნაციის მიზნით საავიაციო ქარხანაში შექმნილია დამრიგებელთა საბჭო, სადაც შედიან მოწინავე მუშები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. დამრიგებელთა აქტიური მონაწილეობით ქარხანაში რეგულარულად ეწყობა შეჯიბრება „პროფესიაში საუკეთესოს“ წოდების მოსაპოვებლად, „მუშად კურთხევის“, „პირველი ხელფასის დღის“ საზეიმო ცერემონიები, ოსტატების კონკურსები, შეხვედრები შრომის ვეტერანებთან.

დამრიგებლები არ კარგავენ კავშირს თავიანთ მოწაფეებთან, რომლებიც საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობენ; რეგულარული მიმოწერა აქვთ მათთან, უომბოვენ საამქროს, ქარხნის ამბებს, და კანონზომიერია, რომ სამსახურის შემდეგ ახალგაზრდობა მეტწილად შრომითს კოლექტივში ბრუნდება.

დიმიტროვის სახელობის ქარხანაში შექმნილია დამრიგებლობის სახალხო უნივერსიტეტი, რომლის პროგრამაში შედის საწარმოო პედაგოგიკის, სოციალური ფსიქოლოგიისა და კომუნისტური აღზრდის საკითხები.

განსაკუთრებული როლი განკუთვნება დამრიგებლებს სოციალისტიკური შეჯიბრების გაფართოებაში, რომლის დიდ მამოძრავებელ და აღმზრდელობითს ძალას იყენებენ ახალგაზრდა თაობის შრომითი იდეურ-პოლიტიკური წრთობისათვის. დამრიგებლები ახალგაზრდა მუშებს ეხმარებიან ყოველმხრივ დაამაბეთონ თავიანთი ვალდებულებანი, განსაზღვრონ შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მომეპარნეობისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლის გაძლიერების პირადი რეზერვები. პირად გეგმა-ვალდებულებებში აღნიშნული საშეფოთა კვალიფიკაციის, იდეურ-პოლიტიკური, ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლების გზებიეს ორის ახალგაზრდა მუშაკის ყოველმხრივი განვითარების ერთგვარი პროგრამა, რომელსაც შემდეგ მკაცრად აკონტროლებს დამრიგებელი.

ქარხნის პარტიული კომიტეტი, რომელიც დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს დამრიგებლობას, გარკვეულ მუშაობას ეწევა ამ მოძრაობის შემდგომი გავრცელებისათვის. აქ ფართოდ არის გათვალისწინებული დამრიგებელთა მორალური სტიმულირება. ყოველწლიურად მუშაობის შედეგების მიხედვით განსაკუთრებით თვალსაჩინენი დამრიგებლებს ანიჭებენ ქარხნის „საუკეთესო დამრიგებლის“ წოდებას, აჯილდოებენ საპატიო სიგელებით, მათს პორტრეტებს აკრავენ სპეციალურ სტენდებზე, მათს საქმიანობას ამოქმედებენ მრავალტირაჟიანი გაზეთით და საქარხნო რადიომაუწყებლობით, ხორციელდება მატერიალური წახალისების ღონისძიებანი.

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა ტრიფონ როსტოაშვილის ანგარიში იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც იგი ეწევა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ახალგაზრდობასთან მისი მუშაობის გამოცდილება.

ცენტრალურმა კომიტეტმა აგრეთვე აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებით, მიზნადასახული მუშაობას ეწევიან, რათა კიდევ უფრო გააფართოონ და გაღრმაონ მოწინავე ლენინგრადელ მუშათა პატრიოტული ინიციატივის შედეგად გაჩაღებული დამრიგებლობის მოძრაობა, რომელიც მუშათა კადრების ახალგაზრდა თაობის პროფესიული მომზადების, კომუნისტური, შრომითი აღზრდის ერთ-ერთი ნაკადი ფორმა გახდა. 25 ათასზე მეტი კადრის, გამოცდილი და კვალიფიციური მუშა ნიადაგ გადასცემს ახალგაზრდობას თავის ოსტატობას, ზრდის მას საბჭოთის მუშათა კლასის სახელოვანი შრომითი ტრადიციებით. მათ შორის არიან გ. კურტანიძე, ა. ზარქუა, ვ. ბოროდაკინი, ვ. რომნისთაველი, ვ. ქემაშვილი, ა. ეოუბა, ფ. ვასიფეა და მრავალი სხვა. დამრიგებელთა უმრავლესობას შეადგენენ კომუნისტები და კომკავშირელები, მათგან ორ მესამედს უმაღლესი ან საშუალო განათლება აქვს.

უკანასკნელ ხანს სწავლებას ინდივიდუალურ ფორმასთან ერთად ფართოდ ვითარდება დამრიგებლობის ბრიგადული მეთოდიც, რომელიც ახალგაზრდის შრომითი და ზნეობრივი აღზრდის უფრო პროგრესული ფორმაა.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაიზიარა ტ. როსტიაშვილის ის აზრი, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ყველგან სათანადოდ არ ხორციელდება ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობს საქართველოს სოციალისტური ფაბრიკების, ტრანსპორტის, ინდუსტრიული ბაზრების, ინჟინერიული ინფრასტრუქტურის, ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის, ტექნიკური ინფორმაციის,

პარტიული ცხოვრება:

განვაუმჯობესოთ საქართველოს კოვაარგის ცნობრავლური კოდექსის XVII პლენუმის გადაწყვეტილებანი

საღამოსა და სამეცნიერო

არგვეთში ერეზიული მიწა ფველას მოითხოვს

— **მე ვარ** დიდა, მშობელი ყველასი, რაც კი თვალით ჩანს, თუ არა ჩანს, ყველას ჩემს კალთაზე უძიგეს თავი, ყველა ჩემით სულდგმულობს, არსებობს, საზრდოობს. შემოქმედმა მე დამბადა ყველა არსთა სიცოცხლის წყაროდ. გარეშე ჩემსა სულ პატარა მწერსაც კი სული ამოჰხდება. ამიტომ არის, რომ დიდას მიწოდებს ყოველი არსი.

.ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ეს „მშობელი ყველასი“ ჩვენი დიდი დედა, მიწა-მარნენალია, რომელსაც ბუნების გულთამხილავი და მესაიდუმლე ფაჟა-ფშაველა ალამპარაკებს. ამ სიტყვების ენაშმარიტებას და იმას, რომ მიწა ჩვენი ფასდაუდებელი საუნჯეა, ახლა ყველა აღიარებს, მაგრამ სხვა საქმეა — ამ განის ვინ როგორ დაპხარის, როგორ უფრთხილდება, რას აკეთებს იმისათვის, რომ არ გამოიფიტოს, არ გახრიოკდეს, ძალა არ გამოელიოს და ჩვენი მასაზრდოებელი ძუძუ არ გაუშრეს, რათა ჩვენც გვარჩინოს და მომავალი თაობაც კმაყოფილი ჰყავდეს.

მომავალზე ფიქრი კი მით უფრო საჭიროა, რომ წლითიწლით, დღითი დღე მეტი მოსავალი გვინდა და კიდევ უფრო მეტი დასჭირდება შთამომავლობას.

ამიტომ მხვნელ-მთესველი დღენიადაგ სულ იმის ფიქრში უნდა იყოს, რომ მიწა შვილებს უკეთესი გადასცეს, ვიდრე იგი მამისაგან მიიღო.

ამ მხრივ, ჩვენი სოფლის მშრომელები ნაყოფიერად ირჯებიან — მიწის ღალიანობის მოსამატებლად, მისი დაკვნისა და მოვლა-პატრონობისათვის. ბევრ ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკურ, მელიორაციულ ღონისძიებებს ახორციელებენ. მარტოოდენ 1967-1979 წლებში რესპუბლიკის ხელების, ხრამების, მდინარეთა ნაპირების და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოყენებული, ძლიერ ეროზიებული 36642 ჰექტარი მიწა გატყვიდა, რაც საგებმი დაკალთას 2 ათასზე მეტი ჰექტარით აღემატება. 11421 ჰექტარზე გაშენდა მინდორსაცავი ტყის ზოლები, ხოლო ძლიერ დაქანებულ, გადარეცხილ ფერდობებზე მოეწყო 7.272 ჰექტარი ტერასი ნაკვალად ნედგმთ გათვალისწინებული 6955 ჰექტარისა. გასარწყავებული და დაშრობილი მიწების ფართობი რესპუბლიკაში 750 ათას ჰექტარს აღემატება.

ბუნების აქტიური გარდაქმნის ეს ზემომოყვანილი მაგალითები ჩვენი კარგი მეურნეობრიობის დამადასტურებელია, მაგრამ ისინი ვერაც დღეის მოთხოვნებს აკმაყოფილებს და ვერაც მომავლისას. არადა, მიწის დაცვა, მისი ნაყოფიერების გადიდება ყველაზე მეტად ჩვენს რესპუბლიკას სჭირდება, ვინაიდან იგი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე მცირემიწიანია — ჩვენში ერთ სულ მოსახლეზე 5-ჯერ ნაკლები სახნავი მოდის შესაბამის საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით.

კიდევ უფრო საგულისხმო ის არის, რომ, რაც დრო გადის, სულ უფრო კლებულობს და კლებულობს ჩვენი მიწის რესურსები, მწყობრიდან გამოდის დიდი სასოფლო-სამეურნეო საკარგულები. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში ეროზიამ 250 ათასამდე ჰექტარი მიწა გამოაკლო სასოფლო-სამეურნეო საკარგულებს. საერთოდ, ეროზიული მიწის ფართობი მილიონ 700 ათას ჰექტარს აღემატება. ყოველივე ეს კი იმ დროს ხდება, როცა სულ უფრო იზრდება მოსახლეობის მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

ამ საკვალილო ფაქტის გამო ახლა გვიანია თითზე კბენანი, მაგრამ მიწაზე ზრუნვა კვლავ ჩვენი სისხლხორცეული საქმეა, ვინაიდან დღესაც არცთუ იშვიათია ჩვენში დაგაურ-ჰიდროლოგიური გამოკვლევა არ უწარმოებიათ. დასაღუპავად განწირულ მიწას ესენი არ აკმარეს და ხეტილის ოჯახთაშორისებს ყოველწლიურად სატრაქტორო გუთნით ამოშავებენ და სიმინდს თესავენ. ეს კიდევ უფრო შემაშფოთებელი ის არის, რომ ნიადაგი ფერდობის დაქანების მიმართულებით მუშავდება, რაც ცვეთნის ნაგთის დასხვას ჭაგვს და ისედაც ინტენსიურად მიმდინარე მეწყერულ პროცესს აძლიერებს და წყლისმიერ ეროზიასაც ხელს უწყობს; მიწას თვალსა და ხელს შუა ნაპრალება უჩნდება და ღრმულებად ქცეული უფასურულობაც მიეკანება.

როგორც ჩანს, აქაურებს ეს საკანგაშო ამბავი დიდად არ ანაღელვებთ და ხელს აძლევთ ველურ-ბუნებითა ცხოვრების პრინციპი — ჩვენს შემდეგ ქვა-ქვაზეც ნუ დარჩენილაო. ასე რომ არ იყოს, განადგურების პირას მისული მიწას ტრაქტორით გულს რომ უფრდრავენ, ერთხელ მაინც დაიფიქრებდათ გამრჯე მარჯვენის მნაგარი ნამაზი იმ ლამაზი ოდა-სახლების ბედი, რომლებსაც მეწყერი დღეს თუ ხვალ ხვეში ჩატანას უქადის. ესეც რომ არ იყოს, მიწის ასეთი ხელყოფა ანტისაზოგადოებრივი საქციელია, რადგან ამით ძირი ეთხრება ხალხის მატერიალურ საფუძველს და, რაც მთავარია, შთამომავლობას ვუკარგავთ მამულს, რომლის სიყვარულს ცხოველმყოფელ სითბოდ და სხივოსან შუქად ფუდეს ბინა თითოეული ჩვენგანის გულში.

შთამომავლობა არც იმას გვაპატიებს, რომ ძვირფას სახნავ მიწებზე საცხოვრებელი მასივები და ისეთი ობიექტები შენდება, რომლებსაც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ. გულსატკივნია ისიც, რომ წიაღისეულის მოსაპოვებლად გადასხსრული დიდძალი ფართობები აღარ უბრუნდება მხვნელ-მთესველს. კიდევ უფრო დიდი ზარალი მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის ეგრეთ წოდებული დაუგეგმავი / ზებების გაყანას. თითქმის ყველა მინდორი გარდიგარდმო დასერილია ფართო ზებებით.

ყოველივე ეს საღად მოაზროვნე, შორსმჭვრეტელ ადამიანებს ფიქრებს ამაოებულ ბიზზე აიყრევინებს, ამაოებულ კიდევ შეაჯერებს და ერთიანად კიდევ შეაჯერებს, რომ ამ სწორად მიწის ამოდენა ნაწილი ეროზიულ-ტექნიკურ-ტექნოლოგიურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეროზიის ბანძიერ ტერიტორიად აქცია 2 მილიარდი ჰექტარი, რაც ახლანდელ მთელ სახნავზე გაცილებით მეტია: ძნელი დასაჯერებელია ისიც, რომ ჩრდილოეთი ამერიკის ახლანდელი უნაყოფო ოჯახო თავის დროზე მთელ რომის იმპერიას არჩენდა. რაღა შორს მივდივართ, ჩვენს რესპუბლიკაშიც, რომელიც ისედაც პატარაა თავისი მთითა და ბარით, ათიათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გაანადგურა ეროზიამ და სხვა სტიქიურმა მოვლენებმა. შარშან მარტო გულრიფშის ტალონის მეურნეულის და ბაღმარნის კოლმეურნეობებსა და აგარის საბჭოთა მეურნეობაში ეროზიულ და მეწყერული პროცესების შედეგად მწყობრიდან გამოვიდა 225 ჰექტარი სახნავი მიწა.

ეს მიწათმოქმედს ავალებს მკაცრად მოჰკითხოს თავის თავსა ყოველმა შეგნებულმა მხვნელ-მთესველმა ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს ნიადაგის დაცვისა და მისი ნაყოფიერების ამოლებისათვის, დროა, ზოგიერთმა ხელმძღვანელმა თავი დაანებოს მიწაზე დაუფიქრებელ, უყაირათო მეურნეობრიობას, ისწავლოს მიწის რაციონალური გამოყენება, რათა თითოეულმა ჰექტარმა მაქსიმალური მოსავალი მოგვიგის და შემდგომ თაობასაც ღალამომატებული სავარგული დავუტოვოთ.

ზ. ხუნდაძე,
საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ეროზიის განყოფილების გამგე;

ვ. ქასრაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორეს. პონდენტი.

მინდვრებშია სათესი აგრეგატები



თეთრი წყაროს რაიონის კოდის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მიწათმოქმედები შემჭიდროებულ ვადებში ამთავრებენ შაქრის ჭარხლის თესვას. საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც დაიწყეს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები და ლენინური შრომის ვახტზე დადგნენ, ცდილობენ თესვა დროულად დაამთავრონ, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალ მოსავალს.

აპრილის ამ დღეებში მექანიზატორებს მოუწევთ მნიშვნელოვან ფართობებზე დათესონ კარტოფილი, სიმინდი, მოემზადონ საშემოდგომო მარცვლოვანთა აღებისათვის, რომლებსაც მეურნეობაში 900 ჰექტარი უკავია.

სურათებზე: კოდის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მექანიზატორი ჯიმშერ პაპაშვილი, რომელმაც თესვის დროს მაღალი მაჩვენებლებით გამოიჩინა თავი; შაქრის ჭარხლის თესვა.

ი. დავითაშვილის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ГОТОВИМ ГАМАТАВИСУФЛОТ САМУШАОДАН...

РАТОМ МИДИС МУША ХАРЧНИДАН?

ალზრდისა და სწავლების, მათი პროფესიული დოსტატების და საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

სრულიად ბუნებრივია, რომ სწორედ ამ დროს ჩანს არა მარტო ის დადებითი შედეგები, რომლებსაც პარტორგანიზაციებმა მიაღწიეს თავიანთ მუშაობაში, არამედ ისიც, რაც ჯერ კიდევ ვერ მოიპოვეს მასობრივ პროფესიათა კადრების სწავლებაში, მათი შენარჩუნების კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებაში....

„საქმახსოფლტექნიკის“ საწარმოო გაერთიანება „სოფლრემონტი“ ქარელის ავტოსარემონტო ქარხანა შედარებით ახალი საწარმოა დაბის გარეუბანში. სწორედ აქ არემონტებენ რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობათა კუთვნილ ავტომანქანებს, წლების მანძილზე ასე ერთგულად რომ ემსახურებიან სოფლის მშრომელებს —მხვნელ-მთესველებს, მეგვნახელებს, მეჩიაიებს, მეხილეებს. ასე რომ, აქაურ ავტოშემკეთებლებს საპატიო მისია აკისრიათ — კვლავ მწყობრში ჩააყენონ ტრანსპორტი, გაუხანგრძლივონ მას საექსპლოატაციო ვადები.

სხვათა შორის, სხვა საკარო დაპირებებთან ერთად, ესეც არის ნათქვამი ავტომემკეთებელთა სოციალისტურ ვალდებულებებში, საგულდაგულოდ რომ გამოუკრავთ ქარხნის აღაყაფის კარებთან და მძღოლებსა და ავტომანქანების მფლობელ საზოგადოებრივ მეურნეობათა წარმომადგენლებს რწმენასა და იმედს უნერგავს. მაგრამ ეს ლოზუნგი, მართლაც რომ, გარედან მტერს უკსებს თვალებს და შიგნიდან მოყვარეს, რადგან იმედი ნისლივით ქრება, როგორც კი ქარხნის ეზოში მოხვდები, ან მის საამქროებში შეიხედავ.

ავტომანქანების დაშლა და აწყობა, სხვა სარემონტო სამუშაოები აქ პრიმიტიულად ხდება. ძალიან ცუდია სამუშაო პირობები. მუშები ფიქტობრივად სახურავახდილ, ფანჯრებჩალეწილ საამქროებში მუშაობენ. ძალიან ხშირად, განსაკუთრებით ზამთარში, სამე ი იქამდეც კი მიდის, რომ სახარატო დაზგებში „ჩამდგარი წყალიც კი იყინება. მართლაც რომ, კომენტარი ზედმეტია!

სიმართლე უნდა ითქვას: აქაური მშრომელებს სიზარმაცეს, მოუწადინებლობას და ინერტულობას ვერ დასწმამენ, მაგრამ ასეთ ცუდ სამუშაო პირობებში მხოლოდ ენთუზიაზმით შორს ვერ წახვალ. ეს კი კადრების დენადობას იწვევს. ამის დასადასტურებლად ერთი ასეთი ფაქტიც კმარა: შარშან საწარმო 90 კაცმა ანუ თითქმის ყოველმა მეოთხე მუშამ, დატოვა, მიიღეს 80 კაცი, ეს რა თქმა უნდა, ერთობ ცუდი და, თამამად შეიძლება ითქვას, საგანგაშო მდგომარეობაა. ამიტომ ამბავი კითხეა: რას აკეთებენ ქარხნის იდმინისტრაცია და პირველადი პარტორგანიზაცია მუშებისათვის შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისათვის, მათი პროფესიული დაოსტატებისათვის, რა ორგანიზაციულ და პოლიტიკურ, აღმზრდელობითს მუშაობას ეწევიან საამისოდ?

ქარხნის პარტბიუროს მდივანი კ. ქებაძე უხერხულად შლის ხელებს — ამ მიმართულებით კომუნისტებს ბევრი არაფერი გაგვიკეთებიაო. ოგივე აზრისაა ქარხნის დირექტორი გ. ჯანიაშვილიც.

და მართლაც, როცა ეცნობი კოლექტივის სამეურნეო საქმიანობას, თვალში ეცემა უმთავრესი: მასობრივი პროფესიების კადრების აღზრდის, სწავლების, შენარჩუნების — ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმეებისადმი ერთობ უგულისყურო დამოკიდებულება.

ეს კი, თავის მხრივ, მუშაობის ეფექტიანობასა და პროდუქციის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს. ფაქტი ფაქტად რჩება. ლაპარაკია ქარხნის პროდუქციაზე — შეკეთებულ ავტომანქანებზე, ძრავებზე, კვანძებზე, რომლებიც მეტწილად უხარისხოდ არის დამზადებული. ბევრ საწარმოო უბანზე ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევა ქარხნიდან გამოსულ ტრანსპორტს ერთიორად უმცირებს საექსპლოატაციო ვადას.

საკვირაოდ იყო, რომ პროდუქციის ხარისხი მაინც მოეკეთდა პარტბიუროს საქმიანობის არეში. სამწუხაროდ, შარშან ამის თაობაზე, ისევე როგორც მასობრივი პროფესიების კადრების შენარჩუნების საკითხებზე, აქაურ კომუნისტებს ერთხელაც არ უმსჯელიათ. არადა, „წარმოებაში მუშათა მომზადების შემდგომი სრულყოფისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ საკავშირო ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირთა მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში წარმოებაში მასობრივ პროფესიათა მუშების მომზადებისათვის ზრუნვა არინციპლად ახალ სიმაღლეზეა აყვანილი, ხოლო ზემოაღნიშნული საწარმოს საქმიანობის გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქარელელი ავტოშემკეთებლები ამ საპროგრამო დოკუმენტების მიღმა იყვნენ დარჩენილნი...

დიახ, კადრებთან მუშაობის საქმეში ქარელის ავტოსარემონტო ქარხანაში მართლაც ცუდი მდგომარეობაა, რომლის გამოსწორებისათვის მიზანსწრაფული, გეგმიანი და ყოველდღიური მუშაობაა საჭირო. რა კეთდება აქ მდგომარეობის გამოსწორებისათვის კადრების დენადობის შემცირების მიზნით?

როგორც ეტყობა, სერიოზულ მუშაობას მოჩვენებითს ხელოვნურ ღონისძიებებს ამჯობინებენ. დენადობა რომ როგორმე შეამცირონ, ქარხანაში მუშებს ხელოვნურად უზრდიან საკვალიფიკაციო თანრიგებს. მაგალითად, შარშან თ. კანდელაკს, მეორე თანრიგის ელექტროშემდუღებელს, ქარხანაში მოსვლიდან სულ რაღაც ორი თვის შემდეგ მეხუთე თანრიგი მიანიჭეს(?!).

კვალიფიკაციის ამაღლება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ასეთი ფორმალური ნაბიჯი, ეს ნაკვალევ, რომ ეს ადამიანები ამ ადგილებზე ერთ-ორ კვირაში ვერ ამოვიდ, ეს ფაქტი ყველა ადამიანისა, ეს ფაქტი ... ეს ... ეს ... ეს

გვაგყობინებენ საკავშირო საკავშირო ინფორმაციის სააგენტოს კორესპონდენტები

საერთაშორისო ცხოვრება
დღევანდელი ფურცლიდან

ავღანელი ხალხის დღესასწაული

ქაბული, 26 აპრილი. დღეს აქ გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც ავღანეთის რევოლუციის მეორე წლისთავს მიეძღვნა. სხდომას დაესწრნენ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის პოლიტბიუროს წევრები, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რევოლუციური საბჭოს, მთავრობის წევრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები. სახეიმო სხდომაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მეგობარი ქვეყნების დელეგაციები, მათ შორის საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ვ. ზიმიანინის მეთაურობით.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ბაბრაქ კარმალმა.

ზუსტად ორი წლის წინათ, თქვა მან, ავღანეთის თავისუფლებისმოყვარე და კეთილშობილმა ხალხმა ახალი ფურცელი დაწერო თავის ისტორიაში. თავიანთი პოლიტიკური ავანგარდის — ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ სამშობლოს მოწინავე, რევოლუციურმა ძალებმა დაამხეს ექსპლოატატორთა ძალაუფლება და ავღანეთს გაუხსნეს ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ მიმავალი გზა.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში ჩვენ მაღლიერებით ვიღებთ ჩვენი დიდი მეზობლისა და ძმის — საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების, ყველა რევოლუციური პარტიის, მოძრაობისა და ძალის ინტერნაციონალისტურ დახმარებას.

თავიანთ საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ხელმძღვანელობენ იმით, რომ ავღანელი ხალხის ბედნიერებისა და აყვავებისათვის საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს და განვითარდეს ძმური მეგობრობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა დიდ საბჭოთა კავშირთან.

სახეიმო სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური მ. ვ. ზიმიანინი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით მ. ვ. ზიმიანინმა სახეიმო სხდომის მონაწილეებსა და მათი სახით ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ყველა წევრსა და აქტივისტს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, მთელ ავღანელ ხალხს მხურვალედ მიულოცა სახელოვანი აპრილის რევოლუციის მეორე წლისთავი.

ს. ვენსი გადადგა

ვაშინგტონი. 28 აპრილი. აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი დათანხმდა სახელმწიფო მდივნის ს ვენსის გადადგომას.

თეთრი სახლი ჯერჯერობით უარს ამბობს ამ ცნობის ყოველგვარ კომენტარზე, მაგრამ როგორც პრესა, რადიო და ტელევიზია აღნიშნავენ, სახელმწიფო მდივნის ეს ნაბიჯი გამოხატავს პროტესტს კარტერის იმ ავანტიურისტული ცდის წინააღმდეგ, რომ დიპლომატიური ოპერაციის მეშვეობით დაეხსნა თეიერანში დატყვევებული ამერიკელი მძევლები

წერილში, რომელიც სახელმწიფო მდივანმა პირადად პრეზიდენტს გადასცა, ნათქვამია, რომ ვენსი „ვერ დაუჭერს საჯაროდ მხარს“ კარტერის ამ გადაწყვეტილებას. წერილში აგრეთვე აღნიშნულია, რომ სახელმწიფო მდივანი თავის პოსტს „ბოლამდამიმეტებული“ ტოვებს.

„ამერიკელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ვენსის წასვლის შემდეგ კარტერის ადმინისტრაციის პოლიტიკა კიდევ უფრო მეტად გადაიზრება ავანტიურიზმისაკენ, რომლის სიმბოლოც არის ბეჭნსკი.

თეთრი სახლის პრესმდივანმა გამოაცხადა, რომ სახელმწიფო მდივნის მოვალეობას დროებით შეასრულებს სახელმწიფო მდივნის მოადგილე უორენ კრისტოფერი.

ირანის ამბები

ვაშინგტონი. ცნობილი გახდა დეტალები, თუ როგორ ამზადებდა შეერთებული შტატები ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ დიდერსიულ აქციას.

პენტაგონის შეფმა ჰ. ბრაუნმა პრესკონფერენციაზე გამოსვლისას თქვა, რომ ეს ოპერაცია 24 აპრილს ღამით ეწყობოდა. ამ მიზნით ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების რვა ვერტმფრინავი და მათთან ერთად სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები, რომლებშიც 90 სადანგებოდ გაწვრთნილი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე იყო, გაეშურა ირანის უდაბნოს შორეულ დასაჯდომ რაიონში, თეერანდან 200 მილზე, სადაც დამატებითი საწვავი უნდა ჩაესხათ. „ამ და სხვა ნაბიჯების წარმატების კვალობაზე, — აღნიშნა ბრაუნმა, — ნავარაუდევი გვქონდა მოგვიანებით მიგვეღო გადაწყვეტილება თვით მაშველი ოპერაციის შესახებ“. მაგრამ, როგორც პენტაგონის შეფმა განაცხადა, დაჯდომის ადგილისაკენ გადაფრენის დროს გადფეზდა ორი ვერტმფრინავი, რომელთაგან ერთ-ერთი უდაბნოში დაეშვა და მისი ეკიპაჟი გახიზნეს, ხოლო მეორემ კუროსი შეიკვალა და არაბეთის ზღვაში ჩამომდგარ ავიამზიდ „ნიმიცზე“ დაჯდა, უდაბნოს სახელდახელო აეროდრომზე ჩამოსვლისას კიდევ ერთი თვითმფრინავის ჰიდრავლიკური სისტემა გაფუჭდა.

ამის გამო ოპერაცია გაუქმდა, ხოლო გაფრენისათვის მზადების დროს „სრულ წყვდიადში ერთმანეთს დაეჯახა ერთერთი ვერტმფრინავი და „ს.-130“ ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი. ორივეს ეცვიცხლი მოეკიდა, ამასთან, როგორც უკვე ვიუწყებოდით, მათი ეკიპაჟების რვა წევრი დაიღუპა. დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას ბრაუნი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ამერიკელმა „კომანდოსებმა“, რომლებიც თავეკუთვნილი ქარბოდნენ ირანის ტერიტორიიდან, ლაჩრულად მიატოვეს იქ დაღუპული ამხანაგების გვამები, აგრეთვე ოთხი გამართული ვერტმფრინავი, და „ს.-130“ თვითმფრინავებით გამოფრინდნენ.

პენტაგონის შეფმა თქვა, რომ ამ დივერსიული ოპერაციის დაგეგმვისა და მომზადების შესახებ პირველი გადაწყვეტილება მიიღეს ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში.

თეიერანი. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ყოტბზადემ თეირანის რადიოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ირანი „მკაცრად გმობს ამერიკის ადმინისტრაციის მტრულ აქციას, ამასთან ინარნუნებს სიფიცხეს და სიმტკიცეს ისეთი მოქმედების წინაშე, რომელიც გამოწვეული იყო სიფიცხით ან სიბრაყვით“.

თავისი დანაშაულებრივი მოქმედებით, ხაზი გაუსვა მან, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არა მარტო საფრთხეში ჩააგდო მძეულების სიცოცხლე, არამედ — მისივე აღიარებით — 8 კაცი დაკარგა. პრინციპულად რომ ვთქვათ, ეს იყო აქცია განაირებებული ამერიკის შინაპოლიტიკური პრობლემებით და მდგომარეობით, რომელშიც კარტერი აღმოჩნდა პენსილვანიაში პირველადი არჩევნების შემდეგ. ის ფაქტი, რომ პრეზიდენტის სავარძლისათვის მას შეუძლია ჩაიდინოს ყოველგვარი დანაშაული, მოწმობს, როდენ უსაფუძვლოა მისი „ჰუმანურობისა“ და „კაცთმოყვარეობის“ პრეტენზიები, — თქვა ყოტბზადემ.

ყველაზე ცუდი ის არის, აღნიშნა მან, რომ ევროპის ქვეყნები აღმოჩნდნენ ამერიკის საშინაო პოლიტიკის მიმდევართა როლში, ეს უნდა ითქვას სამწუხაროა.

ეჭვი არ არის, განაგრძო მინისტრმა „რომ ირანში ვითარების გამწვავების“ ამერიკული გეგმები უკიდურესად ფართოა. ამიტომ ჩვენი ხალხი განსაკუთრებით ფხიზლად უნდა იყოს ამერიკის იმპერიალიზმისა და საერთაშორისო სიონიზმის ხრიკების წინაშე.

ჩვენ ვერ შეეგუებით მსგავსი აქციების განმეორებას და ასეთი ცდის შემთხვევაში „ეუბრძანებთ ჩვენს სამხედრო ხომალდებს დაიწყონ სროლა. დაე ამერიკამ იცოდეს, რომ მას წინააღმდეგობას უწევს ხალხი, რომელიც მზად არის რადაც უნდა დაუჯდეს მოიგერიოს მისი დანაშაულებრივი მოქმედება. დაე, იცოდნენ ჩვენი რეგიონის ხალხებმაც: თუ ისინი ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ მტაცეი პოზიციას არ დაიკავებენ, მდგომარეობა შებრუნდება მათ წინააღმდეგ.

აფეთქება მინის ქვეშ

სან-ფრანცისკო, 28 აპრილი. შეერთებულმა შტატებმა ინგლისთან ერთად გამოსცადა ბირთვული მოწყობილობა ნევადის შტატში მდებარე პოლიგონზე. როგორც ენერგეტიკის სამინისტრო იუწყება, მიწისქვეშა აფეთქების სიძლავრე შეადგენდა 20-დან 150-მდე კილოტონას.

წელს კი უკვე ბირთვული მოწყობილობის მეხუთე გამოცდა ნევადაში.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

28 აპრილი

● **სოფია**. ბულგარელი გეოლოგები ადართოებენ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ფრონტს. როგორც ეს დადგა გაზაფხულის თბილი დღეები, ათობით ექსპედიცია გაემგზავრა სხვადასხვა რაიონში. მათი ერთ-ერთი უკანასკნელი ალმოჩენაა სპილენძის მადნის საბადო „ახარელი“, რომლის დამუშავებაც მალე დაიწყება.

● **პარიზი**. მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს საფრანგეთის გლეხთა ფართო გამოსვლები „საერთო ბაზრის“ აგრარული პოლიტიკის დამღუპველი შედეგების წინააღმდეგ. „შემოსავლის კატასტროფული შემცირების“ წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მანიფესტაციები და მიტინგები მოაწყო ეროს დეპარტამენტის სოფლების 10.000 მშრომელმა, რომლებმაც ბარიკადებით შეაჩერეს ტრანსპორტის მიმოსვლა ბევრ გზაზე.

● **სან-ფრანცისკო**. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის გაკოტრების გამო დიდი ზარალი მოსდით ამერიკელ ფერმერებს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებიდან, ფერმერთა შემოსავალი კოლორადოს შტატში წელს ხულ ცოტა სანანერვოდ შეცირდება სამობის მკვეთრი გაძვირების პირობების გამკაცრების გამო.

ზაქარია ნიკოლოზის ძე ჩხუბიანიშვილი



1980 წლის 24 აპრილს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 76 წლისა გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო დარგის მუშაკი, სკკპ წევრი 1928 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ზაქარია ნიკოლოზის ძე ჩხუბიანიშვილი.

ზ. ჩხუბიანიშვილი დაიბადა 1903 წელს სოფ. რუისპირში (თელავის რაიონი) გლეხის ოჯახში, სადაც ადრეული ასაკიდანვე ებმება შრომაში.

1923-1925 წლებში იგი მუშაობს ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტის მდივნის და გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე. ასე დაუკავშირა ზ. ჩხუბიანიშვილმა თავისი ბედი მშობლიური კომუნისტური პარტიის, იახელმწიფოში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების, ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლის დიდ საქმეს, რასაც უანგაროდ ემსახურა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

1933 წელს, ამიერკავკასიის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი დამთავრებისთანავე, იგი დაინიშნა „საქტყეტრესტის“ საწარმოოტექნიკური განყოფილების გამგედ, ხოლო ორი წლის შემდეგ გადაყვანილი იქნა ამიერკავკასიის სატყეო მეურნეობისა და სატყეო ტრანსპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. 1937 წელს ინიშნება თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე.

1937-1940 წლებში ზ. კ. ჩხუბიანიშვილი მუშაობს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახალხო კომისრის პოსტზე, 1940-1941 წელს — პარტიის სიდნაღის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად, 1942 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანია მრეწველობის დარგში. 1944 წლიდან 1946 წლამდე იგი იყო საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, ხოლო 1946 წელს ინიშნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, 1952 წელს კი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. 1958 წლიდან მას საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის პოსტი უკავია. 1959 წლიდან პენსიაში გასვლამდე ზ. ჩხუბიანიშვილი ხელმძღვანელობს თბილისის ხე-ტყის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი არაერთხელ აურჩევიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი ბიუროს წევრად, იყო სსრ კავშირის ორი მოწვევის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ ოთხი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

დიდი სამამულო ომის წლებში ზ. ჩხუბიანიშვილი ჩვენი პარტიისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობის საგანგებო დავალებებს ასრულებდა.

ზ. ნ. ჩხუბიანიშვილს გარკვეული წვლილი მიუძღვის საქართველოში ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარების საქმეში. მის კალამს ეკუთვნის 17 სამეცნიერო შრომა, რომელთაგან სამი წიგნად გამოიცა.

ყველგან, სადაც კი გზავნიდა პარტია, ზ. ჩხუბიანიშვილი შემოქმედებითს ინიციატივას იჩენდა და ბოლშევიკური პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მინდობილ საქმეს. მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას, ორგანიზატორულ ნიჭს ახმარდა პარტიისა და ხელისუფლების მიზანდასახულობათა განხორციელების, სახალხო მეურნეობის განვითარების, რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების კეთილშობილურ საქმეს.

ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის უანგარო და უმწიკლო მუშაობა, საერთო საქმისათვის მისი თავდადება სათანადოდ დააფასეს პარტიამ და ხელისუფლებამ. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორი, შრომის წითელი დროშის, პირველი ხარისხის სამამულო ომის, საპატიო ნიშნის ორდენებით და მედლებით.

ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის — კომუნისტური პარტიისა და ხალხის ერთგული შვილის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულში.

ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, ზ. ა. პატარიძე, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, გ. ვ. ადლეიბა, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ჟ. კ. შარტავა, ნ. ვ. ტიმოფეევი, გ. კ. სტუპნევი, ა. გ. დმიტრინი, ვ. ი. ვადაჭკორია, გ. ზ. ბარსუკოვი, თ. ი. უჩანეიშვილი, შ. ი. ჭალაგანიძე, გ. თ. გელაშვილი, გ. დ. ჯაფარიძე, პ. ბ. დუნდუა, ა. ი. ეჯიბაძე, ი. ვ. ჩიჩუა, ა, ა. ფოჩხუა, შ. ბ. ჯაოშვილი.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსკიავეკპროექტი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი

ზაქარია ნიკოლოზის ძე ჩხუბიანიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ავღანელი ხალხის დღესასწაული

სოღიდარობის წერილი

ჰავანა. კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ფიდელ კასტრომ სოლიდარობის წერილი გაუგზავნა ირანის რევოლუციის ლიდერს აიათოლა ხომეინის.

წერილში ნათქვამია: „კუბის ხალხისა და რევოლუციური მთავრობის სახელით მინდა ძმური სოლიდარობა გამოგიცხადოთ იმ მომენტში, როცა ირანის რევოლუციას ამერიკის იმპერიალიზმის შეიარაღებული აგრესიის ახალი და სერიოზული საფრთხე შეექმნა.

ამ საფრთხის წინაშე ირანელ ხალხს შეუძლია იქონიოს სიმპათიისა და მხარდაჭერის იმედი „კუბის რევოლუციის მხრივ, რომელიც უკვე 20 წელზე მეტია განიცდის შეერთებული შტატების მთავრობის დანაშაულობრივ ბოიკოტსა და აგრესიას და რომელსაც ამჟამად საბჭოთა მანევრებითა და შეჭრით ემუქრებიან.

ე. კენედის წარმატება

ნიუ-იორკი, 28 აპრილი. შეერთებულ შტატებში გრძელდება საარჩევნო კამპანია. როგორც იუწყებიან, სენატორმა ე. კენედიმ გაუსწრო პრეზიდენტ ჯ. კარტერს დემოკრატიული პარტიის აქტივისტთა კრებაზე ამერიკის შეერთებული შტატების დიდმნიშვნელოვან ინდუსტრიულ შტატში — მიჩიგანში. კენედიმ დემოკრატთა მომავალ ეროვნულ ყრილობაზე შტატისაგან წარსაგზავნი 71 დელეგატის მხარდაჭერა მოიპოვა, კარტერმა კი 70 დელეგატისა. აქამდე სენატორმა ე. კენედიმ გამარჯვა პენსილვანიის შტატში გამართულ პირველადს არჩევნებში და არიზონის შტატის პარტიული აქტივის კრებებზე.

სულ, იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საინფორმაციო სააგენტოს გაანგარიშებით, ამჟამად ჯ. კარტერს მხარს უჭერს ყრილობის 1.186 დელეგატი, ხოლო ე. კენედის — 667.

ფოტოინფორმაცია

საფრანგეთის სახელმწიფო მოსამსახურეთა გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო ფოსტისა და ტელეგრაფის 30 ათასმა და ჯანმრთელობის დაცვის 100 ათასმა მუშაკმა. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის მომატებასა და შრომითი ხელშეკრულების პირობების გადასინჯვას.

სურათზე: მანიფესტაციის მონაწილენი პარიზის ქუჩებში.

აფპ-საკლესის ფოტო.

საფრანგეთის გადაწყვეტილება

პარიზი, 28 აპრილი. საფრანგეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გამოიყვანოს ჩადის ტერიტორიიდან თავისი ჯარები, რომლებმაც, როგორც ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის კომუნიკეში, „შეასრულეს თავიანთი მისია“. ევაკუაცია განხორციელდება ჩადის რესპუბლიკის ეროვნული ერთიანობის გარდამავალ მთავრობასთან შეთანხმებული წესით.

საფრანგეთის ჯარების გამოყვანა ერთი პირობათაგანია ეროვნული შერიგების შეთანხმებისა, რომელსაც ჩადის ყველა სამხედრო პოლიტიკური დაჯგუფების წარმომადგენლებმა შარშან აგვისტოში მოაწერეს ხელი ნიგერიის დედაქალაქში, აღნიშნულია, რომ ჩადიდან საფრანგეთის ჯარების გამოყვანის გადაწყვეტილება მიღებულია აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სახელმწიფოებისა და მთავრობათა მეთაურების ლაგოსის საგანგებო სამმლეის გახსნის წინ.

ლაგოსში უმაღლეს დონეზე შეხვედრის ფარგლებში იმუშავებს ჩადში მდგომარეობის მოწესრიგების სპეციალური კომიტეტი. მის შემადგენლობაში შეიკენენ მთელი რიგი აფრიკული სახელმწიფოების მეთაურები, რომლებიც მინისტრთა დონეზე შემუშავებულ წინადადებებს განიხილავენ.

● ● ზოგი რამ სხვათა შორის

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ

ცნობილი იტალიელი მსახიობი ჯინა ლოლობრიჯიდა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ქვლავ დაუბრუნდა კინოს. მწერალ ნ. ს. ლესკოვის ერთ-ერთ ეკრანიზებულ ნაწარმოებში იგი მთავარ როლს შეასრულებს. ნიკაში გამართულ იტალიური ფილმების ფესტივალზე ჯინა ლოლობრიჯიდამ ჟურნალისტებს გაანცნო თავისი შემოქმედებითი გეგმები.

ქრონიკული ხველების მიზეზი

ახალგაზრდა შეფილდელს ხუთი წლის ასაკიდან ტანჯავდა სულშემხუთველი ხველების შეტევები. მშობლებს იგი ექიმებთან დაჰყავდათ, მაგრამ არაფერი შველოდა, ხველების დროს ბიჭს არაერთხელ წასვლია გული. საბოლოოდ ექიმებმა რენტგენის სურათზე პატარა შავი ლაქა შენიშნეს. ყმაწვილს გულმკერდიდან პაწაწინა, ორ სანტიმეტრ-ნახევარი სმაილის სათამაშო ჯარისკაცი ამოუღეს, რომელთანაც ერთად იგი 10 წელი ცხოვრობდა.

უჩვეულო ჟურდღგა

სინგაპურში უჩვეულო ქურდობა მოხდა. ერთ-ერთ ადგილობრივ საშენში ღამით ოცდათზე მეტი ნიანგი მოიპარეს. ეს პირველი შემთხვევა არ არის. როგორც ფიქრობენ, ქურდობის მიზეზი უნდა იყოს ნიანგის ტყავზე გაზრდილი მოთხოვნილება როგორც ადგილობრივ, ასევე მსოფლიო ბაზარზე.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობა

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობა კარგა ხანია, რაც საერთაშორისო ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა: ორი სახელმწიფოს კონტაქტები განსაკუთრებით კონსტრუქციული ფორმებს იღებს მას შემდეგ, რაც გენერალი დე გოლი მტკიცედ დაადგა ქვეყნის ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ვაშინგტონისაგან დამოუკიდებელ საგარეო-პოლიტიკურ კურსს. განსაკუთრებით დიდია საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ოვაწლი ევროპაში დაძაბულობის შენელებასა და ურთიერთხელსაყრელი მშვიდობიანი თანამშრომლობის კლიმატის სტაბილიზაციაში. მოსკოვისა და პარიზის პოზიციები სულ უფრო და უფრო ხშირად ემთხვევა ერთმანეთს საერთაშორისო ცხოვრების ბევრ საკვანძო საკითხში. ამ ურთიერთობას სპეციფიკური მნიშვნელობა სწორედ ახლა ენიჭება, როდესაც ვაშინგტონი ყოველნაირად ცდილობს მსოფლიოს რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო ჩაანას მის მიერ წამოწყებულ ანტისაბჭოურ კამპანიაში.

თუ ყოველივე ზემოხსენებულს გავითვალისწინებთ, კანონზომიერია ის ცხოველი ინტერესი, რომელიც საერთაშორისო წრეებმა გამოიჩინეს პარიზში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. გრომიკოს ვიზიტის მიმართ. პრესკონფერენციაზე საბჭოთა მინისტრმა დაფიქსირა შეფასება მისცა ვიზიტის შედეგებს. კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნა ის ფაქტი, რომ დღითი დღე სულ უფრო და უფრო ფართოვდება ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობა, გარდა იმისა, რომ გადაჭარბებით ხორციელდება გასულ წელს საფრანგეთში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს დადებული შეთანხმებები, წარმატებით მიმდინარეობს მოლაპარაკება ახალ კონტაქტებზე, რაც იმის დამადასტურებელია, რომ საფრანგეთის მთავრობა არ აჰყვა ბოიკოტის პროვოკაციულ კამპანიას. რაც შეეხება საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს, აქ არავინ არ მოელოდა აზრთა აბსოლუტურ ერთობას, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ზოგიერთ საკითხში აზრთა სხვაობამ ხელი არ შეუშალა ურთიერთობის ნორმალურ მსვლელობას.

ამერიკის კიდევ ორ შტატში — პენსილვანიასა და მიჩიგანში გაიმართა პირველადი არჩევნები. დამარცხებათა მთელი სერიის შემდეგ, ვლავ იზეიმა გამარჯვება სენატორმა ე. კენედიმ. მართალია, ნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს ზემოხსენებული ფაქტორები? აშკარად იგრძნობა ამერიკელი ამომრჩეველთა ინტერესის შესუსტება საგარეო-პოლიტიკური საკითხებისადმი. ამერიკელთა მთავარ საზრუნავად კვლავ საშინაო პოლიტიკის პრობლემები და უფინანსოდ ინფლაცია რჩება, ეს კი კარგს არაფერს უქადის კარტერს. უკანასკნელ მომენტამდე კარტერს და მის მრჩეველებს სწამდათ, რომ საგარეო პოლიტიკა იყო ის პანაცეა, რომელიც არჩევნებში გამარჯვებას უზრუნველყოფდა. სწორედ ამან ათქმევინა ცნობილ ამერიკელ მოღვაწეს მარტინს — „არ მახსოვს რომელიმე პრეზიდენტს ასე აშკარად გამოეყენებინოს საგარეო პოლიტიკა არჩევნებში თავისი გამარჯვების ინტერესებისათვისო“. დღეს კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვითარება იცვლება. სიტუაციას ნათელს მოჰფენს ალეფორნიის დიდ შტატში მომავალი პრაიმერიზის შედეგები. თუ აქაც გამარჯვა კენედიმ (თანაც დამაჯერებლად), მაშინ უკვე შეიძლება გარკვეული სიფრთხილით ვილაპარაკოთ მის შანსზე. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ „ტედი“ (როგორც ჩვეულებრივ უწოდებს ამერიკული პრესა ედოარდ კენედის) თავისი ცირადი თვისებებით საკრძნობლად ჩამორჩება თავის განსვენებულ ძმებს.

რაც შეეხება კარტერს, საყურადღებოა, რომ აპრილის დამლევს, გასული წლის ნოემბრის შემდეგ პირველად აღინიშნება მისი პოპულარობის საკრძნობი დაცემა. აი როგორი ცნობები გამოაქვეყნა ამის თაობაზე ამერიკულმა გაზეთმა „კრისჩენ საიენს მინიტორმა“; პრეზიდენტის მოღვაწეობისადმი საერთო მხარდაჭერა დაეცა 53 პროცენტიდან 40 პროცენტამდე, მისი საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერა — 45-დან 34 პროცენტამდე, ეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერა — 27-დან 23 პროცენტამდე, საბჭოთა კავშირის მიმართ მისი კურსის მხარდაჭერა — 57-დან 39 პროცენტამდე, მძევალთა კრიზისის მოწესრიგებაში მისი პოლიტიკის მხარდაჭერა — 55-დან 49 პროცენტამდე.

სენსაციური ცნობა მოვდო მთელ მსოფლიოს — ამერიკელები შეეცადნენ ძალით გადმოეყვანინათ მძევლები, ცდა სრული მარცხით დამთავრდა, საქმის რეალურ ვითარებას ნელ-ნელა ეხდება ფარდა. მხოლოდ ხუთი დღე იყო გასული თეერანში ამერიკელი დიპლომატების დატყვევებიდან, რომ ამერიკაში უკვე შეუდგენენ დივერსიული ექიმის შემუშავებას. ზესაიდუმლო ვითარებაში პენტაგონის საგანგებო ნაწილები დაწვრილებით ამუშავებდნენ ყოველ-დეტალს ფორტბრაგის სამხედრო ბაზაში. როდესაც ყველაფერი მზად იყო ირანში, დეშტე-ქევრის უდაბნოში, საიდუმლო აეროდრომზე დაიწყო დივერსანტთა თავმოყრა. დადგმულ მომენტში მხოლოდ ტექნიკური ხასიათის გაუთვალისწინებელმა გართულებებმა აიძულა კარტერი ხელი აეღო ავანტიურის შემდგომ გაგრძელებაზე, თუმცა საქმე ეუმსხვერპლოდ არ დამთავრებულა: თეთრი სახლის ოფიციალური ვერსიით 8 ამერიკელი დივერსანტი დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა, როდესაც ორი ამერიკული თვითმფრინავი ერთმანეთს შეეჯახა ფრენაში. ამაზე იტყვიან, ხარი ხართან დაბიო... როგორც ჩანს ენტუზიაზმი გადალეთიდან ალასკორი დასაკვნები გამოიტანა კარტერმა. მართალია, სამი წლის წინ ისრაელის „კომანდოსებმა“ შესძლეს უგანდაში, ენტებეს აეროპორტში მძევალთა ძალით განთავისუფლება, მაგრამ განა შეიძლება ქალაქის განაპირა, ცოდად დაცული აეროდრომის შედარება თეირანის ცენტრში მდებარე და მშვენიერად დაცულ საელჩოსთან? ენტებეს შემდეგ ეგვიპტის პრეზიდენტმა სადათმაც სცადა ანალოგიური აქციის მოწყობა, მაგრამ ყველას კარგად ახსოვს, თუ რა სავალალოდ დამთავრდა ეს ცდა. მაგ რისი იმედი ჰქონდა კარტერს? გარდა ამისა, განა დასაშვებია ჩვენს დროში ასეთი სამხედრო ავანტიურა, რომელიც ადვილად შეიძლებოდა დიდი სისხლისღვრით დამთავრებულიყო? ხომ არ მიუთითებს ეს, რომ ვაშინგტონის ადმინისტრაციამ საერთოდ დაკარგა ორიენტაცია და ყოველად გაუმართლებელი ექსტრავაგანტური, კოვბოური მეთოდით სურს საკუთარი პრესტიჟის აღდგენა? ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია — დღეს მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება პოლიტიკური მოღვაწე, კარტერის ადგილას რომ ინატროს თავი. მძევალთა ხვედრი კი კიდევ უფრო გართულდა — როგორც ხომეინიმ განაცხადა, მათ განაკალვებენ და ირანის სხვადასხვა რაიონში დაქსაქსავენ.

ს. ციწიცაძე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

„კომუნისტის“ კომენტარი

ზასუდ კვირაში

□ დიალოგი გრძელდება □ პირველადი არჩევნებიბის ქრონიკა □ ხელმოცარული დივერსანტები

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობა ეს ერთ-ერთი ადგილობრივ საშენში ღამით ოცდათზე მეტი ნიანგი მოიპარეს. ეს პირველი შემთხვევა არ არის. როგორც ფიქრობენ, ქურდობის მიზეზი უნდა იყოს ნიანგის ტყავზე გაზრდილი მოთხოვნილება როგორც ადგილობრივ, ასევე მსოფლიო ბაზარზე.

საქკლესის ცნობა

მიფრინავს „პროგრეს-9“

„სალუტ-6“— „სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის შემდგომი ფუნქციონირების უზრუნველყოფის პროგრამის შესაბამისად 1980 წლის 27 აპრილს 9 საათსა და 24 წუთ

სიტყვა პოეტზე

რამდენიმე დღეა მთელი ცივილიზებული მსოფლიო აღნიშნავს დიდი ლენინის ხსოვნას. ლენინის გენიას შთამაგონებელი მხატვრული ნაწარმოებები მოუძღვნეს ყველა ქვეყნის პოეტებმა. ფოლკლორშიც კოლორატურულად გამოიკვეთა ლენინის კოლოსალური ფიგურა. მსოფლიო ლენინიანაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია მხატვრული სიტყვის ქართველ ოსტატთა, მათ შორის ორიგინალური ტალანტით დაჯილდოებული, უადრესად პოპულარული, გამორჩენილი პოეტისა და მეცნიერის, იოსებ გრიშაშვილის ქმნილებებს. ამ ფაქტთა შორის არის რაღაც ბუნებრიობა და კანონზომიერება. გრიშაშვილმა თოთხმეტი წელი იცხოვრა როგორც ადამიანმა და შემოქმედმა ძველ დროში, ხოლო თითქმის ორმოცდათხუთი — ახალ ლენინურ საქართველოში. „...ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება ჩემ სამშობლო საქართველოში, — წერდა გრიშაშვილი, — იყო აგრეთვე ჩემი იდეური და პოეტური დავალიანების დასაწყისი... მე დავრჩი ერთგული ყოველივე ამისა, რასაც სიახლე მოაქვს მწერლობაში...“

თავიდანვე ორი საწყისი ჰქონდა სოციალური ქვედაფენებიდან გამოსული ყმაწვილის — იოსებ გრიშაშვილის პირველ ნაბიჯებს ლიტერატურაში: დემოკრატიული მწერლობის უშუალო გავლენა და თბილისური ფოლკლორი, რომლის პარალელურად იერძნობოდა ფანტასტიკური „ყარამანიანი“, „შვიდვეზრიანი“, „სარდიონიანი“, „ქალავაჟიანი“, როგორც სულიერი ცხოვრების გარკვეული ნაკადი. ამ დროს, მართალია, ჯერ კიდევ ცოცხალი იყვნენ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის განთიადის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მაგისტემის დიდი კანონმდებლები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, მაგრამ ხარფუხული ყმაწვილისათვის, თუ ვიმსჯელებთ 1906 წელს გამოცემული ლექსების პატარა წიგნით — „ვარდის კონა“ და 1907 წელს დაბეჭდილი „ფანტაზიით“, ეტყობა, დემოკრატიული პოეზია („მუშის სიმღერა“, „ბრძოლა“, „ტუსაღის სიმღერა“) და ქალაქური ფოლკლორი უფრო იყო მისაწვდომი. დრო კი ჰბეჭდავ პოეტს, 16–18 წლის ყმაწვილს, ძალიან რთული შეხვდა: 1905 წლის რევოლუციის კვირაძალი და მისი დამარცხების შემდეგ გამეფებული ნგრევა, ნაწინელი რეაქცია, როცა დაიწყო როგვება და დაკვემულობა ინტელიგენციაში. რუსეთის იმპერია იქცა მოდური მწერლების თავისებურ არენად, დაიწყო მარქსიზმის „კრიტიკა“, რევოლუციის დაცინვა, ბანნება იდეალისტური და ეკლექტიკური ფილოსოფიური ნაკადები, გაძალიერდა პესიმიზმი და მისტიკიზმი. ასეთ პირობებში, მსგავსად იმდროინდელი არაერთი ახალგაზრდა მწერლისა, გრიშაშვილმაც შეიცვალა თავისი პირველადელი ოპტიმისტური, მებრძოლი ტონი, პოეტი მოექცა პესიმიზმის ტყვეობაში, ზოგჯერ კი ეროტიულ გრძნობებსაც მეგობრულად ჩამოართვა ხელი.

მაგრამ ყველგან, რა თემაც უნდა აეღო, გრიშაშვილი ამეოცანებდა ხალას ნიჭს, უებრო ტალანტს, ოსტატობას, ბევრ ისეთ თვისებას ჭეშმარიტი პოეტისა, რომ თავიდანვე ერთბაშად ეპყრობდა მკითხველის დიდ ყურადღებას. გრიშაშვილი საოცარი ძალით იზრდებოდა, როგორც პოეტი. იმდროინდელი ქართული პერიოდიკის რედაქციებსა, ქართული თეატრის კულუარებსა, სუფლიორის, ნიჟარებსა და ისეთ გამოჩენილ ადამიანებთან ურთიერთობაშ ი, როგორიც იყვნენ უკვე მოხუცი აკაკი წერეთელი, ჩვენი პოეტური გენია ვაჟა-ფშაველა, სვენის მშვენებანი — ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია... ალიარიფრს ეამბობ ფარული წრეზე ქართველი მოღვაწეებისა, რომელებმაც გრიშაშვილის ტალანტის გაშლას ხელი შეუწყვეს. დამახასიათებელია, რომ სახელგანთქმულმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ ჯერ კიდევ 1913 წელს დიდი ქება უძღვნა გრიშაშვილს, სანდრო შანშიაშვილთან ერთად, აღნიშნა, რომ „მათ შეიტანეს პოეზიაში ახალი ელემენტები, გასაოცრად შეიმუშავეს ლექსის ტექნიკა და იმ სიმშვენიერემდის მიიყვანეს, რომ ქართული პოეზიის ჩვეულნიც კი განცვიფრებაში მოჰყავთო“. გრიშაშვილი, — წერდა კიტა აბაშიძე, — „ნიჭით მომადლებული მგოსანია, რომელმაც ახალი ელემენტები შეიტანა ქართულ მდიდარ პოეზიაშიო“. ორი წლით ადრე, 1911 წელს, ჭოლა ლომთათიძემ, მიუხედავად პოეტური საგნის დაწუნებისა, გრიშაშვილის შემოქმედებითს ტალანტს მაღალი შეფასება მისცა. იმდროინდელი ჩვენი კრიტიკოსი თუ რეცენზიტი, გაკილვის პარალელურად აღნიშნავდა გრიშაშვილის დიდ პოპულარობას, ოსტატობას, საკუთარი „შკოლის შექმნას ლირიკულ პოეზიაში“. ერთმა კრიტიკოსმა შეშფოთებაც კი გამოთქვა, რომ „გრიშაშვილის დაფნის გვირგვინი“ ძილს უფრთხობს ახალგაზრდა პოეტებსო.

რა არ ითქვა, რა არ დაიწერა, მაგრამ ფაქტია, რომ გრიშაშვილი ნამდვილად იყო ქართული რითმის ჯადოქარი. ეს უმალ შეინშნა ცხრაასათიანის ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ. მეოცე საუკუნის პირველი ოცეული პოეტთაგან მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძემ და იოსებ გრიშაშვილმა, რომლებიც თითქმის ერთად და იმავე დროს გამოვიდნენ სალიტერატურო ასპარეზზე, გადაგვიმალეს ახალი ლექსის უსაზღვრო შესაძლებლობანი და შეგვიყვანეს რითმების უსასრულო ტყეში...

ხალხს, მკითხველს, მასას იზიდავდა გრიშაშვილის ლექსის ძლიერი ადამიანური სითბო, ლირიკული ვრძნობის სიშვიშვე, საოცარი უშუალობა, რითმების სილამაზე, გამოთქმისა და გამოხატვის რეალისტურობასთან ერთად, სიყვარულის რომანტიკული ამაღლებულობა იყო ცდომილებანიც, რაც წარმავალია, გარდამავალი, ხოლო მეორე ნაკადი საოცრად ძლიერი იყო, მარადიული, ჭეშმარიტებას განასახიერებდა. პოეტი მაღალმხატვრული ოსტატობით აკანდაკებდა სილამაზის, მშვენიერების იდეალს. მაგალითად, უცნაური ძალის იყო, ორიგინალური, სათუთი და უმაღლესი გრძნობიერებით გამთბარი, 1913 წელს დაწერილი ლექსი „შორეულს“, რომელშიაც სატირფოსთან



გამოთხოვებას ამეოლვნებდნენ სვედაშერეული სტიქონები:

„და დამრჩა შენი მსგავსი ვე სახე,
სახე ოცნების გამომხატველი“;
„და დამრჩა მხოლოდ სურათი შენი,
ჩემის თვალებით გადადებული“.

ასე იყო რევოლუციამდე. პოეტის შემოქმედებაში, ისევე როგორც მთელ ქართულ ლიტერატურაში, სრულიად ახალი ხანა იწყება საქართველოში ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ. იმ დროინდელ ქართულ მწერლობას გამოარჩევდა ძალიან რთული პროცესი — პროლეტარული მწერლობა, ცისფერყანწელები, აკადემიური ჯგუფი, მემარცხენეობა... იყო ბრძოლა და შემართებანი, ძველის ნანგრევებზე შენდებოდა ახალი ქვეყანა, შეუპარავად მოდიოდა ახალი მორალი, ახალი ეთიკა და ესთეტიკა.

გრიშაშვილისათვის ეტაპური მნიშვნელობა ჰქონდა გახმაურებულ ლექსს — „გამოთხოვება ძველ თბილისთან“, რომელიც 1925 წელს დაიწერა. არსებითად ეს იყო საერთოდ ძველთან გამოთხოვება. ორი წლის შემდეგ ქვეყნდება „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე“, სადაც პოეტი ჰაინესებურ სკეპტიციზმს ამეღავნებდა.

მაგრამ თანდათან იწყება პოეტის მხატვრულ შემოქმედებაში საგრძნობი შემობრუნება სოციალისტური რეალიზმისაკენ და იწერება დიდი მხატვრული შთაგონების ლექსები საბჭოთა საქართველოს, ახალი ადამიანების, ახალ მშენებლობათა განსადიდებლად. მისი ისეთი ლექსების ძალა და ეშხი, როგორიც არის „სამგორი“, „რუსთაველ“, „ფეროქარხანა“, „სონეთი“, „მოდის ქართული ავტომობილი“, „ქალო ნარინჯიანო“, „სამშობლოსადმი“ ყოველთვის დაატკბობს ქართველ კაცს. საოცარი ძალითაა დაწერილი ლექსები განახლებულ თბილისზე, ღამით ხარფუხის გზებზე, ადიდებულ მტკვარსა და კომკავშირის ხეივანზე. „სონეტი თბილისს“, „ჩემი თბილისი“, „სალამი ნარიყალიდან“, „თბილისი იყო ჩემი ლექსის მასწავლებელი“, „თბილისის პოეტი“, რომელიც მრისხანე 1942 წელს დაწერა, — საკუთარი პატრიოტული სიმღერებია.

მხოლოდ გულმხურვალე პატრიოტსა და უნიჭიერეს პოეტს შეეძლო დაეწერა ეს ორიგინალური გრძნეული სიტყვები თავისუფალ საშობლოზე:

„საქართველო ბედნიერ ბაჯაღლო,
და თბილისი — შიგ ჩასმული ბადახში.
გავსაქერ არეს უხინჯოს და უნაღვლოს,
წერეთელის დინჯ შუბლივით გადაშლილს.
ასეთი ცა მე ჯერ არსად მინახავს!
ასეთი მზე მე ჯერ არ შემხვედრია!
ეს ჩუქურთმა ჩამოოთლილი ინახად
თავისუფალ საქართველოს ხვედრია“.

და როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, როცა საქართველოს კარიბჭეს მძვინვარე მტერი მოადგა, ლიტერატურულმა ელიტამ, ეროვნული საუკუნის პოეტთაგან მხოლოდ ალაკტიონ ტაბიძემ და იოსებ გრიშაშვილმა, რომლებიც თითქმის ერთად და იმავე დროს გამოვიდნენ სალიტერატურო ასპარეზზე, გადაგვიმალეს ახალი ლექსის უსაზღვრო შესაძლებლობანი და შეგვიყვანეს რითმების უსასრულო ტყეში...

ეიერწო, კამერული საგნებიდან, რასაც მას თავიდანვე უსაყვედურებდნენ, გრიშაშვილის შემოქმედებაში დამკვიდრდა თემატიკური მრავალფეროვნება; პოემა თითქმის ყველაფერს, რასაც საბჭოთა სინამდვილე განასახიერებდა, დაუმორჩილა თავისი ხელწერა, მათ შორის ახალგაზრდობის აღზრდასაც. ფართოდ არის ცნობილი ის ჭეშმარიტება, რომ პირდაპირ სანიმუშოა გრიშაშვილის სამავშვო ლექსები. რამდენი სითბო, სიყვარული, უშუალობაა თითეულ მათგანში! მან იცის, ვინ არის ბავშვი, რა წარმოადგენს მის გულს, ხასიათს, როგორი უნდა იყოს იგი, რომ საზოგადოების ღირსეული წევრი გახდეს. და ყველაფერი ეს დაწერილია ნამდვილად ოსტატი პოეტის მიერ.

თუ მართლაც რა ოსტატი იყო გრიშაშვილი ქართული ლექსისა, საუკეთესოდ ჩანს მის მშვენიერ თარგმანებშიც. გიორგი ლეონიძეს „ანუშა“ და „გიქორი“, „საქართველოს პოეტებს“ და „სომეხთა სევდა“, „ჩემი სიმღერა“ და „რუბაიები“, „სომხეთის მ თ ე ბ ზ ე“, „ფარვანა“ და „ერთი წვეთი თაფლი“. ხალხთა ძმობის, ინტერნაციონალ ურ ი მეგობრობის დაუღალავმა მომღერალმა ღრმა შთაგონებით, ბრწყინვალედ, ორიგინალის ადეკვატური ძალით თარგმნა არა მარტო რუსი პოეტები — კრილოვი დაწყებული და ანდა ტოვა-ზმიანაჩვეთი დამთავრებული, არამედ პოლონელი ტუვიმი და თურქი ნაზიმ ჰიქმეთი, ფრანგი როსტანი და ლეკი გამზატოვი, აზერბაიჯანელი აზატ ვეტუნი და სომეხი დოდოხიანი.

მაგრამ გრიშაშვილი არ იყო მარტო პოეტი, მომღერალი. გიორგი ლეონიძესთან და კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად, იოსებ გრიშაშვილი იყო სახელოვანი მეცნიერი, რომელმაც ქართული ფილოლოგია წინ წაწია არა მარტო მაღალნაჭიერად დაწერილი მონოგრაფიებით, არამედ ახალი აღმოჩენებითაც. 1918 წელს გამოქვეყნებული მისი „სიიათნოვა“ სრულიად ახალი სიტყვა იყო ამ გენიალური აშუღის შემოქმედების მეცნიერულად გააზრებაში. თავიდან ბოლომდე ორიგინალურ, მოულოდნელ პირველ სიტყვას წარმოადგენდა 1927 წელს ცალკე წიგნად გამოცემული, საკმაოდ მოზრდილი, ვრცელი მონოგრაფია — „ძველი თბილისის ლიტერატურული მოჰემა“ — ეს დღემდე მართლაც უნიკალური მეცნიერული გამოკვლევა. ორივე მონოგრაფიაში გრიშაშვილი — ტალანტით სავსე კაცი, რომელსაც ძველმა დრომ კლასიკური საშუალო განათლებაც კი არ მისცა, ქართველი მკითხველის წინაშე ერთბაშად წამომართა როგორც სავსებით ჩამოყალიბებული მეცნიერი-მკვლევარი, ახალი, უკვალავი გზით რომ წყვეტდა ფილოლოგიურ პრობლემებს. ამიტომ ყველა გაახარა 1946 წელს მისმა არჩევამ ახლად დაარსებული ჩვენი მშობლიური საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ჩვენ მიერ ხსენებული მეცნიერული ნაშრომების გარდა, პოეტის კალამს ეკუთვნის ზუსტი ცოდნით, მის მიერვე აღმოჩენილი დოკუმენტების საფუძველზე დაწერილი მრავალი გამოკვლევა, რომლებიც 1952 წელს მოზრდილ ტომად გამოვიდა მოკრძალებული სახელწოდებით „ლიტერატურული ნარკვევები“, თუმცა, კაცმა რომ თქვას, თითეული მათგანი, სულ კი ორმოცდაერთია, უფრო აღმოჩენაა, ვიდრე ჩვეულებრივად გაგებული ესეი.

ჯერ დავიგიწყეთ ჩვენს გრიშაშვილს როგორც ქართული ლექსის ბრწყინვალე დეკლამატორსაც. როცა იგი თბილისს ან რომელიმე სხვა ქალაქს სცენიდან საკუთარ ლექსებს წარმოთქვამდა, მთელ თეატრს ტაშის ქარიშხალი აზანზარებდა. გრიშაშვილი ჩვენი დროის ერთ-ერთი უბრწყინვალესი დეკლამატორიც იყო.

როგორც ადამიანი, გრიშაშვილი იყო უზადო, სათნო, თბილი მეგობარი, სიყვარულის განსახიერება. ადამიანში კარგს ეძებდა, კარგს განადიდებდა. ყველა დიდი მწერალი მარადისობის განსახიერებაა. ამ მარადისობის საკუთრებაა ჩვენი უებრო იოსებ გრიშაშვილი, რომელიც თაობიდან თაობას, საუკუნიდან საუკუნეს გადაეცემა როგორც ქართული მხატვრული აზროვნების დადაფნული მშვენება და უკვდავი, მარადუჭქნობი სახელი!

გიორგი ჯიბლაძე.

გვიხმობს დიდი სტარტები

სულ ცოტა დროა დარჩა ოლიმპიადამდე. დღეს „კომუნისტი“ იწყებს წერილების სერიის ბეჭდვას რუბრიკით: „ოლიმპიადა 80-ის მოლოდინში“. საუბარი გვექნება სპორტის სწორედ იმ სახეობებზე, რომლებშიც ჩვენს ოლიმპიურ ნაკრებს კანდიდატები ჰყავს. რანი ვიყავით წინა ასპარეზობებზე, რით ვეგებებით მოსკოვის ოლიმპიადას და საერთოდ სამერმისოდ რა პერსპექტივები გვაქვს?.. ეს და სპორტის განვითარებასთან დაკავშირებული მრავალი სხვა საკითხი ყოველთვის აღელვებთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს, სპეციალისტებს, სპორტის მესვეურებსა და ყველა ქომაგს. მას შემდეგ, რაც სსრ კავშირი საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის აქტიური წევრი გახდა, მას შემდეგ, რაც ოლიმპიადაში მონაწილეობს, ამ დიდი სპორტული ასპარეზობისათვის მზადებაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება საკავშირო სპარტაკიადებში სპორტსმენთა ოსტატობის შემოწმებას. სპარტაკიადა ის ერთ-ერთი უმთავრესი ბიდია, რომლის საშუალებითაც ოლიმპიადის სარბიელზე გასვლის ნაწილობრივ უფლებას მოვიპოვებთ. ამდენად სპარტაკიადაში წარმატება და მომდევნო, უკვე შედარებით მოკლე პერიოდში მისი განმტკიცება, და დამტკიცება იმისა, რომ ადრე მოპოვებული გამარჯვება შემთხვევითი არ იყო, სპორტსმენს აძლევს ოლიმპიადაში მონაწილეობის სანუკვარ უფლებას. ამისთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, იგი თვით ოლიმპიადის დაწყებამდე გაგრძელდება. იელისში დავთვლით იმ ნაღდ ოლიმპიელებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას დაიცავენ, აგვისტოში კი იმას აღვრიცხავთ, თუ რა შედეგებით დაამთავრეს მათ ოლიმპიადა და რით გაუხარეს რესპუბლიკა.

დღევანდელი საუბარი ეძღვნება ჩვენს შესაძლებლობებს მძლეოსნობაში, სპორტული ტანვარჯიშში, ველოსპორტსა და კრივში. მივუყვეთ რიგით:

მძლეოსნობა. ჯერ იმის თამაბაზე, თუ რანი ვიყავით ოლიმპიადებზე: **ჰელსინკში** (1952 წელი) საქართველოდან ოთხმა მძლეოსანმა იასპარეზა. ლევან სანაძემ (სსტაფეტაში 4X100 მ) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ნადეჟდა დვალიშვილმა (200 მ რბენაში) და ნინო დოლმაძემ (ბადროს ტყორცნაში) ბრინჯაოს მედლები მიიღეს. დვალიშვილმა ამას გარდა მეოთხე ადგილიც (სსტაფეტაში 4X100 მ) დაიკავა. აქ იასპარეზა (80 მ თარჯრბენში) ელენე გოკიელმაც, რომელსაც ჩასათვლელი ქულა არ მოუკია;

მელბურნში (1956 წელი) საქართველოს მძლეოსანთაგან მხოლოდ ერთმა — ნ. დვალიშვილმა იასპარეზა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (სიგრძეზე ხტომაში); **რომში** (1960 წელი), ისევე როგორც ჰელსინკში, საქართველოდან ოთხმა მძლეოსანმა სცადა ბედი. რ. შავლაყაძემ სიმაღლეზე ხტომაში ოქროს მედალი მიიღო (ოლიმპიური რეკორდით — 216 სმ), მეოთხე ადგილი დაიკავა ა. შერბინამ (50 კმ სიარულში), რ. ქვაჩაკიძემ (სიგრძეზე ხტომაში) და ი. ლიანჭოვმა (ათენდში) ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღეს; **ტოკიოში** (1964 წელი) მხოლოდ რ. შავლაყაძე გამოდიოდა. სიმაღლეზე ხტომაში მან V ადგილი დაიკავა; **მეხიკოში** (1968 წელი) იასპარეზეს ვ. სანეევმა (სამხტომში), ლ. ივლევამ (80 მ თარჯრბენში), გ. გუდაშვილმა (ბადროს ტყორცნაში) და ი. დელა-როსამ (50 კმ სიარულში). ამათგან თავი ისახელა მხოლოდ სანეევმა, რომელმაც ოქროს მედალი მიიღო (17 მ და 39 სმ — მსოფლიოსა და ოლიმპიური რეკორდი). დანარჩენებმა ჩასათვლელი ქულები ვერ დააგროვეს; **მიუნხენში** (1972 წელი) და **მონრეალში** (1976 წელი) ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსანთაგან მხოლოდ ვ. სანეევმა იასპარეზა და ორივეჯერ ოქროს მედალი მოიპოვა (1972 წელს — 17 მ და 35 სმ, 1976 წელს — 17 მ და 29 სმ). სანეევი ერთადერთი სპორტსმენია საქართველოდან, რომელმაც ოლიმპიადებში ზედიზედ სამჯერ იმარჯვა.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე (1956, 59, 63, 67, 71, 75 და 1979 წლებში) საქართველოს მძლეოსანთა ნაკრებმა შესაბამისად VIII, IX, IX, IX, IX, XVI და XIII ადგილები დაიკავა. როგორც ოლიმპიადებზე, ეს ადგილები ჯერ კიდევ საკმაო ფარული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. ეს ნაკლოვანებანი ძირითადად ორ ფაქტორს ეკუთვნოდა: ერთი, ეს ფაქტორი ადამიანური ფაქტორია, ადამიანებს ეკუთვნოდა, ეს ფაქტორი ადამიანებზე, ადამიანებზე ... ეს ... ეს ... ...